საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 01-06 78
09/02/2021

78-01-4-202102092226

საქართველოს სამხედრო ძალებში 2021 წელს მოქალაქეთა
საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის # 39 დადგენილების შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით,

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სავალდებულო სამხედრო სამსახურში 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მირიან ქათამაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე.

გენადი კირჩხელი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის პირველი რანგის ხელმძღვანელი- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

თეონა გეგიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორე რანგის ხელმძღვანელი-კომისიის წევრი.

დათო არველაძე - შ.ს.ს. ქობულეთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უბნის უფროსი,ინსპექტორ-გამომძიებელი -კომისიის წევრი.

ემზარ მეგრელიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი.

ილია ბაჯელიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -კომისიის მდივანი.

კახა ბერიძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის,გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი.

ნათია ნიჟარაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის,სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის პირველი რანგის ხელმძღვანელი- კომისიის წევრი.

ხათუნა მამასახლისი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი რანგის ხელმძღვანელი-კომისიის წევრი.

ავთანდილ რომანაძე- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი.

გიორგი მარკოიძე - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
წარმომადგენელი.

2.დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სავალდებულო სამხედრო სამსახურში 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის გამწვევი კომისიის მუშაობის გეგმა-გრაფიკი N1 დანართის შესაბამისად.

3.დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სავალდებულო სამხედრო სამსახურში 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის მომზადების ღონისძიებათა გეგმა N2 დანართის შესაბამისად.

4.კომისიამ თავისი საქმიანობა განახორციელოს სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტების მიხედვით.

5. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე 20-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის N39 დადგენილების შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 30 ივნისამდე.

6. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულნი იქნენ 18-27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ სამხედრო ძალებში გაწვევისაგან განთავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18- დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან და პერსონალურ უწყებებში აღნიშნულ ვადაში ვალდებულნი არიან გამოცხადნენ გასაწვევ უბანში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

8. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებები გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ფ. ჯინჭარაძე) გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის განაცხადის მიხედვით მოახდინოს თანხების დროულად გამოყოფა.

11. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი რანგის ხელმძღვანელმა (გ. ვერულიძე) უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება.

12. შინაგან საქმეთა სამინისტროს ქობულეთის რაიონული სამმართველოს უფროსმა (გიგლა მოსიძე) ოპერატიულად მიიღოს ზომები და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გაატაროს იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის პირველი რანგის ხელმძღვანელმა (გ.კირჩხელი) გაწვევის მიმდინარეობის შესახებ სისტემატიურად წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიას.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში. (მისამართი: ქ ბათუმი,ზუბალაშვილის ქ.N30)

15. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა